

ახალი სტრატეგია, რომელიც შეაკავებს და წახალისებს - ევროკავშირის ქმედებების ფორმირება სამხრეთ კავკასიაში



შალვა ძეხისაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი
ივნისი 2024



პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემა #43 | ივნისი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინოვაციებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

პუბლიკაცია მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს „ღია საზოგადოების ფონდის“ და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ეს სტატია შემუშავებულია RSSC SG (FPF Study Group Regional Stability in the South Caucasus) სემინარის ფარგლებში, რომელიც გაიმართა კიშინიოვში 2024 წლის 11-13 აპრილს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

შალვა ძეგისაშვილი, “ახალი სტრატეგია, რომელიც შეაკავებს და წაახალისებს - ევროკავშირის ქმედებების ფორმირება სამხრეთ კავკასიაში” პოლიტიკის დოკუმენტი No.43, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ.: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.gip.ge

ავტორის შესახებ

შალვა ძეგისაშვილი არის საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების ხელმძღვანელი. შალვა ძეგისაშვილმა ევროკომისიის სადოქტორო სტიპენდიის (GEM-EU Erasmus Mundus) ფარგლებში წარმატებით დაიცვა დისერტაცია 2016 წლის იანვარში და მიენიჭა სადოქტორო ხარისხი ბრიუსელის თავისუფალ და ბილეფელდის უნივერსიტეტებში. 2008-09 წლებში წარმატებით დაასრულა მაგისტრატურა აშშ-ს ეროვნულ თავდაცვის უნივერსიტეტში (NDU, ვაშინგტონი) სტრატეგიული უსაფრთხოების კვლევების სფეროში და მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის მრჩეველის პოზიციაზე ნატოს შტაბ-ბინაში (ბრიუსელი). 2003 წლიდან 2012 წლამდე და 2017 წლიდან 2019 წლის ივნისამდე ის მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის წამყვან პოზიციებზე. ის არის არაერთი კვლევითი ორგანიზაციის წევრი და მრავალი პუბლიკაციის ავტორი. ამჟამად შალვა ძეგისაშვილი მონაწილეობს ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო კოლაბორაციულ პროექტში "ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და სოციალური პრაქტიკები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში".

სარჩევი

მოკლე შინაარსი.....	5
შესავალი	5
ჰქონდა თუ არა ევროკავშირს ოდესმე სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში?	7
ახალი მიდგომა სამხრეთ კავკასიის მიმართ - მეტი სიმტკიცე, ანუ უფრო ძლიერი შეკავება.....	11
დასკვნები და რეკომენდაციები.....	13
გამოყენებული ლიტერატურა.....	15

მოკლე შინაარსი

ევროკავშირის, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშის, პრობლემას დიდი ხანია განიხილავენ აკადემიურ და პოლიტიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში. გაფართოების პროცესმა, თავისთავად, გააღრმავა უფრო ძლიერი ევროპის გლობალურ დონეზე გამოკვეთის საკითხი, განსაკუთრებით მის სამეზობლოში. სამხრეთ კავკასია, რეგიონი, რომელიც, დიდი ხანია, განიხილება როგორც ბუფერული ზონა რუსეთს, ევროპას და სხვა „დიდ მოთამაშებს“ შორის, სულ უფრო ხშირად გამოთქვამს ინტერესს ევროპული ყადით განვითარების მიმართ. უკრაინასთან ევროკავშირის წევრობაზე მოლაპარაკებების დაწყებით და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, ასევე სომხეთის მიერ ევროპული პერსპექტივის მიმართ გამოხატული ინტერესის წახალისებით, ბრიუსელმა გააკეთა მკაფიო გეოპოლიტიკური განაცხადი და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თანამშრომლობის არსებული ფორმატი, როგორცაა აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP). შესაბამისად, ეს სტატია განიხილავს დილემებს, რომლებიც დგას სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის უფრო მკვეთრი სტრატეგიის ფორმირების წინაშე, და წარადგენს პოლიტიკის (სტრატეგიის) რამდენიმე ცვლილების ინიციატივას, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ევროკავშირის სტრატეგიული მიზნების უფრო ნათლად განსაზღვრასა და ამ მიზნების მიღწევას, - ე.ი., რეგიონში მისი როლის გამოკვეთას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, სტრატეგია, უსაფრთხოება, წევრობა

შესავალი

როგორც გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა განაცხადა 2022 წლის 16 ოქტომბერს, ევროპის ხმა უნდა ისმოდეს ლისაბონიდან თბილისამდე. ამავდროულად, ევროპული კომისიის პრეზიდენტის 2023 წლის დეკემბრის განცხადებაში იკითხება: „მივსალმებით საქართველოს, როგორც ევროპული ოჯახის ახალ წევრს“, რამაც აჩვენა ევროკავშირის ახალი მიდგომა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს თავისი გეოგრაფიული და პოლიტიკური რეალობის ნაწილად მიიჩნევს (დობორჯგინიძე 2023). ახალი რეალობა შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, არამედ აზერბაიჯანის სწრაფი სამხედრო გამარჯვებით სეპარატისტული რეგიონის, მთიანი ყარაბაღის სომხურ ძალებზე, რითაც აზერბაიჯანმა აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა, რისთვისაც ბოლო 30 წლის განმავლობაში იბრძოდა, და ეფექტიანად აღმოფხვრა რეგიონში დესტაბილიზაციის ძირითადი წყარო. დაიმსხვრა ილუზია რუსეთის შესახებ, როგორც სომეხი ერის სამხედრო მოკავშირისა და დამცველის სახით, რამაც ერევანი აიძულა, ერთი მხრივ, შეჭვებოდა ბაქოსა და ანკარას, და მეორე მხრივ, ეძებნა უსაფრთხოების უკეთესი

ალტერნატივები, განსაკუთრებით, ევროკავშირის სახით. შედეგად, სომხეთმა გაყინა თავისი წევრობა რუსეთის დომინირებულ კოლექტიური თავდაცვის ალიანსში – „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში“ (CSTO), დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან და ღიად გამოთქვა სურვილი ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ (Reuters 2024).

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის გეოპოლიტიკური გავლენა (არამხოლოდ გლობალურად, არამედ რეგიონში) პოსტსაბჭოთა სივრცეზე განუსაზღვრელად ძლიერია, ევროკავშირის პოზიციონირება სამხრეთ კავკასიაში თავისი მომავალი გეგმების შესახებ მოითხოვს მეტ სიცხადესა და კიდევ უფრო მეტ დეტალიზებას. და ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, რამეთუ ვლადიმერ პუტინის რეჟიმს არასოდეს მიუტოვებია თავისი იმპერიული ხედვა, რომლის თანახმადაც მთელი სამხრეთ კავკასია ახალი რუსული იმპერიის ნაწილი უნდა გახდეს, და რამეთუ რუსეთის მედია, - რეჟიმის კონტროლირებადი პროპაგანდის მანქანა - ხშირად გამოდის მოწოდებებით, მოხდეს „სომხეთთან, შესაბამისად, საქართველოსთან [რომელიც წარმოადგენს რუსეთის სომხეთთან დამაკავშირებელ „ბუნებრივ დერეფანს“] საზღვრების გაუქმება“ (Kazanskyi 2024).

ამრიგად, ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის არსებული მექანიზმების მიმართ, როგორცაა აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP), სამეზობლო პოლიტიკის ზოგად კონტექსტში სულ უფრო მეტი კითხვის ნიშანი ჩნდება, ერთი მხრივ, ადგილზე პოლიტიკურ რეალობასა და უსაფრთხოების გარემოს, მეორე მხრივ კი, აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებს შორის მუდმივად მზარდი უფსკრულის გამო, მიზნებისა, რომლებიც ჩამოყალიბდა 2022 წლის დრამატულ გეოპოლიტიკურ მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე. ახალი ევროპული სტრატეგია, რომელიც უფრო მტკიცეა და აღარ ეყრდნობა მხოლოდ რბილი ძალის დემონსტრირებას, სულ უფრო რაციონალური და ლოგიკური ჩანს. 2018 წლის ივლისში აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან „გაბედულ“ განცხადებაში ევროკავშირი ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს მეტოქედ დაასახელა და, მრავალი წყაროს მიხედვით, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების ყოფილი მრჩეველი ჯონ ბოლტონის სიტყვებით, აქტიურად განიხილავდა აშშ-ს ნატოდან გაყვანას (Alfaro 2022). იმისთვის, რომ გავანალიზოთ ევროკავშირისთვის ასეთი გადაწყვეტილების შედეგების სიმძიმე, ამ გადაწყვეტილების გავლენა მისი უსაფრთხოების პოზიციებსა და გლობალური ძალაუფლების ცენტრის ჩამოყალიბების საქმეში მის პოზიციაზე, არ არის საჭირო დამატებითი ინტელექტუალურ ძალისხმევა. განახლებული ამერიკული იზოლაციონიზმის რისკი კიდევ უფრო მეტად მიუთითებს უფრო დამოუკიდებელი ევროპული სამხედრო შესაძლებლობების ზრდის სერიოზულ აუცილებლობაზე, რათა იგი კონვენციურ საფრთხეებს გაუმკლავდეს.

შესაბამისად, ეს სტატია ცდილობს, შესთავაზოს ევროკავშირს ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, - რომელიც ეფუძნება კომბინირებული მიდგომის გამოყენების ობიექტურ აუცილებლობას, - უსაფრთხოების პროექციაზე მზარდი როლის ხაზგასმით. ეს

არა მხოლოდ უზრუნველყოფდა ევროკავშირის რეგიონული ვალდებულებების სანდოობის ბევრად მაღალ დონეს, არამედ წახალისებდა რეგიონულ სტაბილურობას, საშუალებას მისცემდა ევროკავშირს, თითოეულ ქვეყანაზე მორგებული მიდგომა შემუშავდეს და მნიშვნელოვნად დაუჭერდა მხარს ადგილობრივ ძალისხმევას კრიზისების პერიოდში დემოკრატიული მდგრადობისა და სახელმწიფო/საზოგადოების მედეგობის გასაზრდელად. ამ სტატიის მიზანი არ არის, სიღრმისეულად შევაფასოთ ადგილობრივი პოლიტიკა და ვნახოთ, როგორ ემთხვევა თუ წინააღმდეგობაში მოდის ეს პოლიტიკა ევროპეიზაციის პროცესთან. ამის ნაცვლად, ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას და მოვახდენთ რაციონალიზაციას ახალი სტრატეგიის ცალკეულ საკვანძო ელემენტებისა, განსაკუთრებით მათი, რომლებიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის რეგიონული პოზიციონირების გაუმჯობესებას (და ევროკავშირის გავლენას ქვეყნის პოლიტიკაზე), რისი გვერდითი მოვლენაც იქნება ევროკავშირი-ნატოს სამხედრო თანამშრომლობის დილემის გადაწყვეტა.

ჰქონდა თუ არა ევროკავშირს ოდესმე სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში?

ევროკავშირის მიდგომა რეგიონში ძირითადად განისაზღვრებოდა სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ფართო გეოგრაფიული ხედვით, რომელიც მოქმედებს 2009 წლიდან და ყურადღებას ამახვილებს მოქალაქეთა მობილობაზე, ტრანსპორტზე, ენერგეტიკასა და გარემოზე (EU External Action 2022). ევროკავშირმა გააორმაგა ძალისხმევა და 2016 წელს გააფორმა ასოციაციის შეთანხმება (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (DCFTA) საქართველოსთან. ეს, ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალ სარგებელთან ერთად, და საქართველოს მოქალაქეებისთვის 2017 წელს უვიზო რეჟიმის მინიჭებასთან ერთად (NATO & EU Info Center 2024) წარმოადგენდა თანამშრომლობის ორ მთავარ საყრდენს. ესე იგი, აქ ევროპული პრიორიტეტები ადვილად შეიძლება ამოვიცნოთ. ერთი მხრივ, ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დემოკრატიას, სამართლის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და კარგ მმართველობას (გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება). მეორე მხრივ, ენერგეტიკის და ტრანსპორტისა (წყლისქვეშა კაბელი, ბორნები და ა.შ.) და მცირე და საშუალო საწარმოების მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის პროექტების მხარდაჭერა წარმოადგენს საქართველოში ევროპული ინტერესების მეორე საყრდენს (Delegation of the European Union to Georgia 2023). ფაქტობრივად, მნიშვნელოვანი ძალისხმევაა მიმართული ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მისი ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, ენერგეტიკის სტანდარტების დამკვიდრებაზე და, რაც მთავარია, ევროკავშირის ენერგეტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე (EU4Georgia 2024). აზერბაიჯანმა მოახერხა, რომ დამკვიდრებულიყო, როგორც უპირველესი სტრატეგიული ენერგეტიკული პარტნიორი ევროპისთვის (სამხრეთ

გაზის დერეფნის და ნავთობის მიწოდებების საშუალებით), ხოლო სომხეთი ნაკლებ ყურადღებას იღებდა დემოკრატიული მმართველობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართ, რუსეთთან ახლო პოლიტიკური (უსაფრთხოების სფეროში) და ეკონომიკური კავშირების გამო (კუხო-ს და ევრაზიის ეკონომიკური და საბაჟო კავშირის წევრობის გათვალისწინებით).

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული უსაფრთხოების განვითარებაზე რეფლექსიის გაკეთების პირველი მცდელობა 2008 წელს იყო, როდესაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) გაიგზავნა საქართველოში რუსეთის აგრესიის შემდგომ საოკუპაციო ხაზზე ინციდენტების მონიტორინგისათვის, უსაფრთხოების სფეროში რეალურად ფორსმაჟორული ვითარება წარმოიქმნა მაშინ, როდესაც აზერბაიჯანმა გაათავისუფლა ყარაბახის რეგიონი სომხური ძალებისგან 2020 წელს, და რუსეთმა დაიწყო თავისი „გამანადგურებელი ომი“ (*Vernichtungskrieg*) უკრაინის წინააღმდეგ. ბრიუსელის სკონტანური რეაქცია იყო საქართველოს მაგალითის კოპირება და სადამკვირვებლო მისიის გაგზავნა სომხეთში (EUMA - EU-Mission in Armenia), მაგრამ მან გააცნობიერა, რომ მინსკის ჯგუფი აღარ წარმოადგენდა შესაფერის პლატფორმას ბაქოსა და ერევანს შორის ტერიტორიული პრობლემების გადასაჭრელად (EU External Action 2022). ნათელი გახდა, რომ ევროკავშირისათვის უსაფრთხოების ახალი ხედვა, უსაფრთხოების ახალი ტიპის მოდელი იყო საჭირო: პირველ რიგში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინტერესების/პოლიტიკის კოორდინაცია რეგიონში (ანუ ადგილობრივი ანტაგონიზმის თავიდან აცილება, როგორც, მაგალითად, პარიზსა და ბაქოს შორის არსებობს); და მეორე - რეგიონული უსაფრთხოების და სტაბილურობის უფრო ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტილებების შემუშავება და შეთავაზება. ეს უკანასკნელი აშკარად გულისხმობს ბევრად უფრო აქტიურ როლს ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში, რაზეც ანდერს ფოგ რასმუსენი მიუთითებდა, როდესაც ფრანგულ გამოცემა LeMonde-ში ევროკავშირის მოუწოდებდა, ეთამაშა უსაფრთხოების მხრივ დამოუკიდებელი და ბევრად უფრო თამამი როლი რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის მოსაპოვებლად (Rasmussen 2024).

მთელი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის, უკრაინაში რუსეთის აგრესიის უზარმაზარი გეოპოლიტიკური (და უსაფრთხოების სფეროში) შედეგები (მაგალითად, განახლებული ოკუპაციის საფრთხე), ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილების ფონზე, რეგიონში ევროკავშირის უსაფრთხოების თანმიმდევრული სტრატეგიის საჭიროებას კიდევ უფრო გამოკვეთს. ევროპული პოლიტიკური კონცეფცია, რომელსაც გეოგრაფიულად შეჰყავს საქართველო ევროკავშირის შემადგენლობაში, რაც დაადასტურა კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებამ (რაც, სხვათა შორის, საქართველოს მთავრობის მიღწევების აღიარების გამო არ მომხდარა), ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა მკაფიო გეოპოლიტიკური პრეტენზია. გეოპოლიტიკური პრეტენზიები, თავის მხრივ, სურვილების დონეზე გადადის ხოლმე, თუკი არ არის გამყარებული უსაფრთხოების ძლიერი მექანიზმებით.

წარსულში ევროკავშირი თავისი მიზნების მისაღწევად აშკარად ამჯობინებდა „რბილი ძალის თაფლაკვერებს“, როგორცაა ეკონომიკასთან, ინფრასტრუქტურასთან და საზოგადოებასთან დაკავშირებული თანამშრომლობა, რასაც, ძირითადად, მის პერიფერიაში ზოგადი სტაბილურობის ხელშეწყობის სურვილი განსაზღვრავდა (European Council 2009). პირობითობის კონცეფციით ცნობილმა წევრობის პერსპექტივამ შეიძლება თეორიულად მოტივირება მოახდინოს ადგილობრივი პოლიტიკური აქტორებისა, რომ წინ წაიწიონ დემოკრატიულ რეფორმებში და განახორციელონ ფართო სპექტრის თანამშრომლობის ვალდებულებები (პირველ რიგში, ნორმატიული/სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათისა), რომლებიც შეთანხმებულია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. თუმცა, წევრობის მკაფიო დაპირების გარეშე, მოცემული ვალდებულებების შესრულება ნაკლებად მოსალოდნელია (Checkel 2000). შესაბამისად, არც აღმოსავლეთ პარტნიორობის და არც ასოცირების ხელშეკრულების პირობებში შესრულების დონე, ანუ შეთანხმებული მიზნების წარმატებით დასრულება, არ შეიძლება იყოს მყარი ოპტიმიზმის საფუძველი. მეტიც, წევრობა პოლიტიკური ალიანსისა, რომელსაც ძნელად შეუძლია უზრუნველყოს რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება და უსაფრთხოების გარანტიები წევრობის გზაზე მყოფი კანდიდატებისთვის (თვითონ წევრობის პროცესის უზრუნველსაყოფად), შეიძლება გახდეს კიდევ უფრო დიდი რისკი, რაც ამცირებს თანამშრომლობის პირობების დაკმაყოფილების შანსებს.

ევროკავშირმა ინტუიციურად გააცნობიერა თანდაყოლილი პრობლემა და გადაწყვიტა, ყურადღება მიექცია (თუნდაც 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ) მხოლოდ გამძლეობის კონცეფციისათვის, ნატოს მიდგომის - მისი წევრი ქვეყნების მიმართ სახელმწიფოს ძირითად სექტორებში ზოგადი მოთხოვნების (საბაზისო მოთხოვნების) დაწესების - კოპირებით (თუმცა დაგვიანებით) (European Commission, 2024). მხოლოდ 2020 წელს აღიარა „სტრატეგიული პროგრნოზის ანგარიშმა“ მედეგობის კონცეფცია ევროკავშირის პოლიტიკის ახალ კომპასად, ხოლო 2023 წელს კი „კრიტიკული უწყებების მედეგობის დირექტივა“ გამოსცა (European Commission, 2023). რაც შეეხება სტრატეგიული პოზიციონირების აუცილებლობას, ევროკავშირი აგრძელებს ბუნდოვანი ფორმულირების არჩევას და ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ დაასახელოს რუსეთი, როგორც თავისი მთავარი მოწინააღმდეგე, ურჩევნია ფოკუსირება მდგრადობის მიზნებზე, ფოკუსირება ნარატივების გლობალურ ომებზე, სადაც ქმედებები უნდა დაიგეგმოს (European Commission, 2023). ევროპული მედეგობის კონცეფცია გამიჯნულია სტრატეგიისა და სტრატეგიული ქმედების ზოგადი გაგებისგან და ეხება მხოლოდ კრიტიკული სუბიექტების უნარს, გაუძლონ ყველა საფრთხეს „როგორც ბუნებრივ, ასევე ადამიანის მიერ გამოწვეულს, შემთხვევით თუ განზრახს“ (CER 2024). ეს ძალიან პრობლემურია, რადგან სტრატეგიულ საფრთხესა და მასთან დასაპირისპირებლად ყველაფრის უზრუნველყოფის აუცილებლობას შორის კრიტიკული და მკაფიო ბმის მნიშვნელობის შემცირება, პარალელურად კი სახელმწიფო და საზოგადოებრივი აქტივობების ფართო სპექტრში კონტრშეტევებისადმი მდგრადობის

შენარჩუნება, აუცილებლად მიგვიყვანს არასწორ მიზნებამდე და წარუმატებელ სტრატეგიულ პოლიტიკამდე.

სტრატეგიულ კომპასში, რომელიც მიღებულ იქნა 2022 წელს, ევროკავშირმა მკაფიოდ განსაზღვრა, რომ საქართველო და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნები „[რუსეთის მხრიდან - ავტორი] ფართო სამხედრო ინსტრუმენტების და ჰიბრიდული ტაქტიკების გამოყენებით პირდაპირი საფრთხეების წინაშე დგანან მათი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით“ (EU External Action 2022). თუმცა, მიუხედავად „მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი უწყვეტი მხარდაჭერის“ გამოცხადებისა, ევროკავშირი ძალიან მოზომილია სტრატეგიულ შეტყობინებებსა და დაპირებებში და, როგორც ამბობს, იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს გამძლეობისა და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით ჰიბრიდული საფრთხეების, დეზინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების წინააღმდეგ საბრძოლველად (სტრატეგიული კომპასი 56). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გამოაცხადა „მოურიდებელი მხარდაჭერა და ვალდებულება მათი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ“, ევროკავშირი ძალიან შემსუბუქებულ სტრატეგიულ შეტყობინებებს და დაპირებებს არჩევს და როგორც ამბობს, ზრდის მედეგობის და თანამშრომლობის ინსტრუმენტების გამოყენებას ჰიბრიდული საფრთხეების, დეზინფორმაციის და კიბერუსაფრთხოების წინააღმდეგ (Strategic Compass 56). ამგვარად, იკვეთება აშკარა შეუსაბამობა, რომელშიც მყარდება გაფართოების სტრატეგიული მიზანი და, ამრიგად, საქართველოს ენიჭება კანდიდატის სტატუსი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და მაგიდაზე დადებული უსაფრთხოების ადეკვატური სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ევროპული გეოპოლიტიკური პრეტენზიების უზრუნველყოფა.

ეს ევროკავშირის, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშისათვის, ყველაზე დიდი პრობლემა თუ არა, გამოწვევა მაინც არის. უუნარობა, რომ სტრატეგიულ ამბიციებს უსაფრთხოებისა და სამხედრო ზომებითა და რესურსებით მხარი დაუჭიროს, აუცილებლად გამოიწვევს აბსტრაქტულ ვარაუდებზე დაფუძნებულ ქმედებებსა და სტრატეგიულ წარუმატებლობას. სამხრეთ კავკასიაში უფრო თავდაჯერებული ევროპა ნიშნავს გეოპოლიტიკური ბუფერული ზონების მიუღებლობას, ეს კი კრემლში პირდაპირ ინტერპრეტირდება, როგორც ევროკავშირის სისუსტის მაჩვენებელი და დე ფაქტო წახალისება მისთვის, რომ ინტერვენცია განახორციელოს. რეგიონში მეტი დასავლური შეკავების საჭიროება სულ უფრო ცხადად ვლინდება. შეკავების სრული არარსებობის გათვალისწინებით (European Commission 2023), არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს შესაბამისობის ხარისხი ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CSFP) განცხადებებთან და საბჭოს გადაწყვეტილებებთან რჩება საკმაოდ დაბალი (44% 2023 წლის აგვისტოში). მიუხედავად ამისა, სომხეთის პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის ბოლო შეხვედრა ბრიუსელში ურსულა ფონ დერ ლაიენტან, ჯოზეპ ბორელთან და ენტონი ბლინკენთან და მათ მიერ სომხეთის გაზრდილი ევროპული მისწრაფების მხარდაჭერა

შეიძლება მიუთითებდეს, რომ ნელა, მაგრამ მაინც ფორმირდება ევროკავშირის ახალი გეოპოლიტიკური პოზიცია სამხრეთ კავკასიაში.

ახალი მიდგომა სამხრეთ კავკასიის მიმართ - მეტი სიმტკიცე, ანუ უფრო ძლიერი შეკავება

ყველაზე უარესი, რაც ევროკავშირმა შეიძლება გააკეთოს, არის ის, რომ კვლავ უარყოს რეალობა და სასურველმა ფიქრებმა რეალობის აღქმა დაუბინდოს, - ვერ გააცნობიეროს, რომ სამხრეთ კავკასიაში ის არამხოლოდ კონკურენციას უწევს რუსეთს სხვადასხვა თანამშრომლობის მექანიზმებით, არამედ, როგორც რუსეთის ხელმძღვანელობა ღიად ამტკიცებს, პირდაპირ ომშია (დასავლეთთან) (Reuters 2024). ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს ახალი სტრატეგია, რომლის საშუალებითაც ის წარმატებით შეძლებს წვერი ქვეყნების განსხვავებული ინტერესების (პოლიტიკების) კოორდინაციას და უფრო ეფექტიანი და მდგრადი გადაწყვეტილებების ფორმირებას რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის. და ბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ 90-იანი წლების ვითარებისგან განსხვავებით, როდესაც რუსეთი არ წარმოადგენდა სერიოზულ საფრთხეს ევროკავშირისთვის და ევროკავშირში პოტენციური კანდიდატების გაწევრების პროცესები არ მოითხოვდა რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევას მათი უსაფრთხოების გასამდიერებლად, დღეს ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. საინტერესოა, რომ პირობითობის პრობლემა, - რომელიც გულისხმობს კანდიდატი ქვეყნის მხრიდან ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას, თუ წევრობა გარანტირებული არ არის, - უარესდება (Checkel 2000). როგორც უკვე აღინიშნა, ისეთი პოლიტიკური ალიანსის წევრობამ, რომელიც ნაკლებადაა ორიენტირებული მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებაზე ან უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფაზე კანდიდატებისთვის წევრობის გზაზე (თვითონ წევრობის პროცესის უზრუნველსაყოფად), შეიძლება შექმნას უსაფრთხოების კიდევ უფრო დიდი რისკი და ამ გზით შეამციროს თანამშრომლობის ვალდებულებების შესრულების შანსები. ამდენად, სტრატეგია, რომელსაც ყოყმანი, გაურკვეველობა და ნახევრად გულგრილი ზომები ახასიათებს, აღარ არის მდგრადი და ქმნის ინსტიტუციური ენტროპიის საშიშროებას, რაც რუსეთს უბიძგებს, დაგეგმოს და განახორციელოს უფრო გაბედული - როგორც გარე, ისე შიდა - თავდასხმები ევროკავშირზე.

ვინაიდან რუსული სტრატეგიული ლოგიკა და აზროვნება ფოკუსირებულია თავის „ახლო საზღვარგარეთში“ თავისი ძირითადი ინტერესების დაცვაზე ჯერ იძულებითი და სამხედრო საშუალებებით, შემდეგ კი პოლიტიკური მექანიზმების ადგილზე შექმნილ რეალობასთან მორგებით, ხოლო ევროკავშირის *modus operandi* ჯერ პოლიტიკურ მექანიზმებს შეიმუშავებს და თითქმის საერთოდ არ მიუთითებს უსაფრთხოების პოტენციურ (სანდო) მექანიზმებზე,

ფაქტობრივად, ქმნის დე-ფაქტო ბუფერულ ზონებს რუსეთის მახლობლად, - ანუ ქმნის შესაძლებლობას კრემლისთვის, გადამწყვეტად იმოქმედოს და რეგიონული მდგომარეობა რადიკალურად თავის სასარგებლოდ შეცვალოს. ეს მდგომარეობა თავიდან უნდა იქნას აცილებული, რადგან ის მსგავსია ვითარებისა, რომელიც 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტის დეკლარაციამ შექმნა, და რამაც აჩვენა უთანხმოება და ნატოს ყოყმანი უკრაინასა და საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების თაობაზე, - რაც სწრაფად გამოიყენა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ (ომის დაწყებით). გეოპოლიტიკა და რეალპოლიტიკა ისევ დაბრუნდა და ეს აღიარებული უნდა იყოს.

ფაქტობრივად, ევროკავშირის სტრატეგიული კომპასის დოკუმენტი ღიად უჭერს მხარს სტრატეგიული მიზნების მეტ სიცხადეს და სწრაფ, გადამწყვეტ ქმედებებს კრიზისების წინაშე, ასევე, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) მტკიცე და მოქნილ დირექტივებს (Strategic Compass 12; 16). ევროკავშირის „სწრაფი რეაგირების ძალები“, - 5000-კაციანი სწრაფი რეაგირების ძალები (RDC), რომლის ამოქმედებაც 2025 წლისთვის იგეგმება, უნდა იქნას განხილული, როგორც ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შეკავების საკვანძო მექანიზმი (Strategic Compass 31).

ვინაიდან შეკავების წარმატებული მოდელების შესახებ ისტორიული მტკიცებულებები უდავოდ მიუთითებს სანდო სამხედრო შესაძლებლობებისა და „ადგილზე ყოფნის“, ისევე, როგორც საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენების შესახებ მზადყოფნის ეფექტიანი კომუნიცირების საჭიროებაზე, RDC-ის განლაგებას საქართველოში ზურგს უნდა უმაგრებდეს NATO-ს თავდაცვის ძალები (NRF). ეს არანაირად არ წარმოადგენს საიდუმლოს ექსპერტებისთვის, რომლებიც ხაზს უსვამენ ლოგიკურ საჭიროებას, დისკუსიაში შემოვიდეს NRF კომპონენტი, - RDC-ის, ანუ ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფების (BGs) შეზღუდული შესაძლებლობების გამო, - რომელთაც არ შეუძლიათ, დარჩნენ საბრძოლო მზადყოფნაში ხანგრძლივი, მაღალი ინტენსივობის კონვენციური ომის დროს (Kerttunen 2010). თავდაპირველად ეს შეიძლება გაკეთდეს ქვეყანაში მუდმივი სასწავლო და საწვრთნელი მისიის (EU-PTEM-G) დაარსებით, რომელიც გააერთიანებს RDC ელემენტს და განიხილავს მისიის პოტენციურ გაფართოებას სომხეთში (EU-PTEM-A). ამ გზით RDC იქცევა ეფექტურ შემაკავებელ და სტაბილურობის უზრუნველმყოფელ ფაქტორად (NRF-ს მხარდაჭერით) ევროპის პასუხისმგებლობის ზონაში და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ოპერაციული კონცეფციების, მისიების და გადაწყვეტილების მიღების (სამხედრო თანამშრომლობა) დილემის გადაჭრაში, - რაც არსებობს ევროკავშირსა და ნატოს შორის.

დასკვნები და რეკომენდაციები

მძიმე პერიოდები გაბედული გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში მოიცავს საქართველოს წევრობის უზრუნველყოფას, მისი დამანგრეველი გარე ფაქტორებისგან დაცვას, რეგიონში მეტი სტაბილურობის შექმნას, მშვიდობის ხელშეწყობასა და შიდა და რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ამრიგად, დადებითი შედეგების მისაღწევად, პოლიტიკის რეკომენდაციები შესაძლებელია შემდეგნაირად ფორმულირდეს:

- საქართველოში უნდა მოხდეს RDC/პირველადი, საწყისი ძალების (Initial Entry Force - IEF) ეტაპობრივი განლაგების ინიცირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაღალი დონის შემაკავებელი ძალა და მოხდეს პოლიტიკური ნებისა და შესაძლებლობების კომუნიცირება. აღარ უნდა განმეორდეს MAP-ის მოძველებული ჩარჩოს მიერ გამოწვეული შეცდომები, რადგან ის არ უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოების გარანტიებს (როგორც აშკარად აღიარეს ფინეთმა და შვედეთმა, რომლებიც მსგავს პირობებში არჩევანი პირდაპირი წევრობზე გააკეთეს).
- წევრობის გზის გარანტირებით შექმნილი უსაფრთხოების განცდა (შეკავების დონის გაზრდით) თავისთავად უზარმაზარ დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. იგი მთლიანად გადაიტანს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ენერჯიას დემოკრატიული (ინსტიტუციური) კონსოლიდაციისკენ და დაშორდება არსებულ პოლიტიკურ modus operanti-ს, რომელიც აბალანსებს ევროპულ მოთხოვნებს რუსეთის მოთხოვნების შიშით მიღებით, - ესე იგი, დაშორდება მზარდ დემოკრატიულ უკანდახევასა და ავტორიტარიზმს, - რაც რუსეთის მხრიდან დასჯის შიშითაა გამოწვეული.
- ეს შეიძლება დამატებითი სტიმული გახდეს დემოკრატიის ხელშეწყობისათვის, აქ კი ევროკავშირის შეუძლია უზრუნველყოს უზარმაზარი ექსპერტიზა და მხარდაჭერა. ევროკავშირმა შეიძლება წახალისოს შიდა პარტიული დემოკრატიის გაუმჯობესება, ასევე პარტიული პოლიტიკის აღდგენა რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს სახელმწიფო მმართველობის ეფექტური პოლიტიკური და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციით (მეტი ავტონომია და მეტი რესურსები მუნიციპალიტეტებისა და რეგიონებისთვის).

ეს ოთხი პრიორიტეტი, სლოგანით „მეტი უსაფრთხოება მეტი დემოკრატიისთვის საქართველოში“, მძლავრ სიგნალებს გაუგზავნის სომხეთსა და აზერბაიჯანს, და წვლილს შეიტანს სტრატეგიული ალტერნატივების შექმნაში. სომხეთში მეტი დემოკრატიული რეფორმები და ევროკავშირის უსაფრთხოების უფრო ძლიერად ფეხის მოკიდება ძალიან

რთული იქნება, თუ საქართველოში ევროპული „ფეხი“ ჯერ არ იქნება უზრუნველყოფილი და გარანტირებული. როგორც რეგიონის დე-ფაქტო გეოგრაფიული ბარიერი, საქართველოა ის ერთადერთი ცვლადი, რომლის გავლითაც შესაძლებელია დასავლეთის წვდომა სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც ცენტრალურ აზიაში. ეს, რა თქმა უნდა, კარგად ესმის რუსეთს.

ამიტომ, იქნება ეს ბაქოსა და ერევანს შორის სასაზღვრო და ტერიტორიული დავების მოგვარების პერსპექტივა თუ სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების ვარიაციები, ვერანაირი გეგმები და ქმედებები ვერ განხორციელდება რეგიონში საქართველოს ევროპულ ხიდად გადაქცევის გარეშე. როგორც კი ეს ყველაფერი ცხადი გადება, შეუდარებლად გაიზრდება რეგიონში გაცილებით უფრო ინტენსიური თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროექტების/პოლიტიკის განხორციელების შანსები (თუმცა უფრო მეტად ისეთ სფეროებში, როგორცაა ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, ფინანსები და ბაზარი და ა.შ.). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფრო ინტეგრირებული და მშვიდობიანი სამხრეთ კავკასიის პერსპექტივა აშშ-ს ინტერესებშიც შედის, როგორც ამას ახლახანს მტკიცედ გაუსვა ხაზი სახელმწიფო მდივანმა ანტონი ბლინკენმა ბრიუსელში ევროპულ და სომეხ კოლეგებთან შეხვედრისას (აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2024).

გამოყენებული ლიტერატურა

- Alfaro, Mariana. March 4, 2022. Bolton Says Trump Might Have Pulled the U.S. out of NATO If He Had Been Reelected. The Washington Post, sec. Politics. ხელმისაწვდომია: <https://www.washingtonpost.com/politics/2022/03/04/bolton-says-trump-might-have-pulled-us-out-nato-if-he-had-been-reelected/>
- Checkel, Jeffrey T. (2000). Compliance and Conditionality. ARENA Working Papers, no. 18. ხელმისაწვდომია: http://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-publications/workingpapers/workingpapers2000/wp00_18.htm.
- Doborjginidze, Elene. October 15, 2022. German Chancellor Delivers Speech at PES. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/lang/en/news/german-chancellor-delivers-speech-at-pes/>.
- EU4Georgia. 2024. Energy Efficiency – Doing More with Less. ხელმისაწვდომია: <https://eu4georgia.eu/energy/>.
- European Commission, EU Science Hub. Resilience. ხელმისაწვდომია: https://joint-research-centre.ec.europa.eu/scientific-activities-z/resilience_en. Accessed October 4, 2024.
- European Commission, November 8, 2023. Key Findings of the 2023 Report on Georgia. Brussels. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/QANDA_23_5626.
- European Commission, Press Release. July 25, 2023. Enhancing EU Resilience: A Step Forward to Identify Critical Entities for Key Sectors. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_23_3992.
- European Commission, Press Release. July 25, 2023. Enhancing EU Resilience: A Step Forward to Identify Critical Entities for Key Sectors. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_23_3992.
- European Commission. 2014. EU-Georgia Deep and Comprehensive Free Trade Area. ხელმისაწვდომია: <https://trade.ec.europa.eu/access-to-markets/en/content/eu-georgia-deep-and-comprehensive-free-trade-area>. Accessed March 25, 2024.
- European Commission. December 15, 2023. Opening Remarks by President von Der Leyen at the Joint Press Conference with President Michel and Prime Minister Sánchez Following the Meeting of the European Council of 15 December 2023. Statement. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_23_6628.
- European Commission. July 6, 2023. Strategic Foresight Report 23 – ‘Sustainability and Wellbeing at the Heart of Europe’s Open Strategic Autonomy. Brussels. ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/document/f8f67d33-194c-4c89-a4a6-795980a1dabd_en.
- European Council. 2009. European Security Strategy - A Secure Europe in a Better World. Brussels. ხელმისაწვდომია: <https://www.consilium.europa.eu/en/documents-publications/publications/european-security-strategy-secure-europe-better-world/>.
- European Union External Action, March 17, 2022. Eastern Partnership. Communication. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/eeas/eastern-partnership_en.

- European Union External Action. October 25, 2022. Q&A EU Monitoring Capacity to Armenia. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/eeas/qa-eu-monitoring-capacity-armenia_en.
- Information Center on NATO and EU. Association Agreement. ხელმისაწვდომია: <https://infocenter.gov.ge/en/eu-georgia/association-agreement/>. Accessed April 15, 2024.
- Kazanskyi, Denis. February 27, 2024. В Армении Теперь Тоже Враги! Нужно Ее Уничтожить! Симоньян и Соловьев Нашли Новую Жертву. Youtube. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=Pdc1FbJqAms>.
- Kelley, Judith. July 1, 2004. International Actors on the Domestic Scene: Membership Conditionality and Socialization by International Institutions. *International Organization* 58, no. 03. ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1017/S0020818304583017>.
- Kerttunen, Mika. March 2010. The EU Battlegroup – Its Background and Concept. *Diskussion & Debatt*, no. NR 1. pp. 127–50.
- Rasmussen, Anders Fogh. April 16, 2024. Armenia Is Pivoting to the West. It’s Time for Europe to Step Up. *Le Monde*. sec. Opinion/Diplomacy. ხელმისაწვდომია: https://www.lemonde.fr/en/opinion/article/2024/04/03/armenia-is-pivoting-to-the-west-it-s-time-for-europe-to-step-up_6667289_23.html.
- Reinhard, Janine. 2010. EU Democracy Promotion through Conditionality in Its Neighbourhood: The Temptation of Membership Perspective or Flexible Integration. *Caucasian Review of International Affairs* 4, no. 3. pp. 196–213.
- Reuters. April 4, 2024. Kremlin Says Russia and NATO Are Now in ‘Direct Confrontation. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/world/russia-nato-relations-level-direct-confrontation-kremlin-says-2024-04-04/>.
- Reuters. February 23, 2024. Armenia Freezes Participation in Russia-Led Security Bloc - Prime Minister. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/world/asia-pacific/armenia-freezes-participation-russia-led-security-bloc-prime-minister-2024-02-23/>.
- Reuters. March 9, 2024. Armenia Is Considering Seeking EU Membership, Foreign Minister Says. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/world/asia-pacific/armenia-is-considering-seeking-eu-membership-foreign-minister-says-2024-03-09/>.
- Roepke, Wolf-Diether, & Thankey Hasit. February 27, 2019. Resilience: The First Line of Defence. *NATO Review*. ხელმისაწვდომია: <https://www.nato.int/docu/review/articles/2019/02/27/resilience-the-first-line-of-defence/index.html>.
- The Critical Entities Resilience Directive (CER). n.d. Accessed: March 20, 2024.
- The European Union and Georgia. September 7, 2023. The European Union and Georgia enjoy a very close and positive relationship. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221.
- US Department of State. April 5, 2024. Secretary Antony J. Blinken With European Commission President Ursula von Der Leyen, Armenian Prime Minister Nikol Pashinyan, and High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy Josep Borrell Before Their Meeting. ხელმისაწვდომია: <https://www.state.gov/secretary-antony-j-blinken-with-european-commission-president-ursula-von-der-leyen-armenian-prime-minister-nikol-pashinyan-and-high-representative-of-the-european-union-for-foreign-affairs-and-secu/>.

Zandee, Dick, & Adája Stoetman. October 2022. Realising the EU Rapid Deployment Capacity: Opportunities and Pitfalls. Policy Brief. Clingendael - Netherlands Institute of International Relations. ხელმისაწვდომია:
https://www.clingendael.org/sites/default/files/2022-10/Policy_brief_Rapid_Deployment_Capacity.pdf.

